

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ანგარიში (20.11.2017-დან 30.10.2018 ჩათვლით) გაწვეული საქმიანობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ მე, ანა ხარებავა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ვარ მ.პ.გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს პროპორციული სიით. უფლებამოსილების ცნობის დღიდან საკრებულომ ამირჩია სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

კომისიის საქმიანობა:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საკრებულოს რეგლამენტიტა და კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების საფუძველზე. კომისია: აკონტროლებს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას; ამზადებს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის და უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ; შეისწავლის საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს; განსაზღვრავს საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას; შეისწავლის ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო მასალებს და საკრებულოს უახლოეს სხდომას წარუდგენს შესაბამის დასკვნას; საკრებულოს უახლოეს სხდომას აცნობებს ფრაქციის გაუქმებისა და ფრაქციის შემადგენლობიდან წევრის გასვლის ფაქტს; ცნობად იღებს ფრაქციიდან წევრის გარიცხვის, აგრეთვე ფრაქციის თავმჯდომარისა და სხვა ხელმძღვანელი პირების არჩევის, გადაყენების, გადადგომის, ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის შესახებ ინფორმაციას, რის შესახებაც აცნობებს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს უახლოეს სხდომას; საკრებულოს რეგლამენტიტ განსაზღვრულ შემთხვევებში ასრულებს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის ფუნქციებს, ადგენს ფარული კენჭისყრის გამართვის ადგილსა და ბიულეტენის ფორმას; ითვლის და აცხადებს ფარული კენჭისყრის შედეგებს; შეიმუშავებს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ; საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოების და წოდებების შემოღებისა და მინიჭების წესის დადგენის შესახებ; შეიმუშავებს წინადადებებს თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურებრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვის, თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთათვის შეფასებისა და კონკურსების ჩატარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საკითხებზე; კონტროლს უწევს აღნიშნულ სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და გატარებულ ღონისძიებათა

განხორციელებას; განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საშტატო ნუსხის განსაზღვრის, თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. აკონტროლებს საკრებულოს მიერ ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების დაცვას და შესრულებას; განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს საკრებულოს რეგლამენტის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის, მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა პროექტებისა და მათში ცვლილებების შეტანის საკითხებზე; ახორციელებს საკრებულოს რეგლამენტით და საკრებულოს დავალებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოსა და ფრაქციის სხდომებზე დასწრება:

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს 29 სხდომიდან ვესწრებოდი 28-ს. ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს 7 სხდომიდან დავესწარი შვიდივეს.

საკრებულოს სხდომებზე ჩემს მიერ მხარდაჭერილი იქნა საკრებულოდან და მერიიდან წარმოდგენილი დადგენილებებისა და განკარგულებების ყველა მნიშვნელოვანი პროექტი.

კომისიის სხდომები:

საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 25 კომისიის სხდომა სადაც განხილულ იქნა მერიისა და საკრებულოს მიერ ინიცირებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, გაიცა რეკომენდაციები და მომზადა შესამაბისი დასკვნები. ასევე კომისიის სხდომებზე მოვისმინეთ მერიის შესაბამისი სამსახურებისა და განყოფილებების ანგარიში, კერძოდ:

1. **თებერვლის თვეში** - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2017 წლის დეკემბრისა და 2018 წლის იანვარ-თებერვალში გაწეული მუშაობის ანგარიში.
2. **მარტის თვეში** - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2017 წლის დეკემბრისა და 2018 წლის იანვარ-თებერვლიში გაწეული მუშაობის ანგარიში.
3. **აპრილის თვეში** - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2018 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიში.
4. **მაისის თვეში** - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2018 წლის იანვრიდან აპრილის ჩართვლით გაწეული მუშაობის ანგარიში.

5. ივნისის თვეში - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2018 წლის მარტიდან მაისის პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში.
6. ივლისის თვეში - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურს მიერ 2018 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიში.
7. აგვისტოს თვეში - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიში.
8. სექტემბრის თვეში - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2018 წლის ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხვა საქმიანობა:

ვხელმძღვანელობდი საკრებულოში შექმნილ დროებით სამოშაო ჯგუფს, რომლის მიზანი იყო შეგვესწავლა საკრებულოსა და მერიის მოქმედი სამართლებრივი აქტები. სამუშაო ჯგუფის მიერ გაცემულ იქნა როკომენდაციები და გატარდა კანონით განსაზღვრული ღონისძიებები. აგრეთვე ვარ მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოს, გენდერული საბჭოს წევრი.

თბილისის საკრებულოს მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ფორუმზე ვიყავი დელეგატის სტატუსით, სადაც დაისახა უამრავი საინტერესო გეგმა რეგიონების განვითარებისათვის. ასევე როგორც კომისიის თავმჯდომარე ვმონაწილეობდი თვითმმართველობის საკითხებზე გამართულ სხვა და სხვა ტრენინგებსა და შეხვედრებში.

საკრებულოს წევრი:

5. 

ანა ხარებავა

30.10.2018